პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 173 (3150)

6

1966 წ. სექტემბერი. სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 28-ე წელი

## დაიწყო გადამწყვეტი ეტაპი

პრაღა, 4 სექტემბერი. მსოფლიო ჩემპიონატში მოასპარეზე ფრენბურთელმა ვაჟებმა დაამთავრეს შეხვედრები ქვეჯგუფებში. ბოლო მატჩი ქ. ნიტრაში საბჭოთა სპორტსმენებმა გამართეს უნგრეთის ნაკრებთან და დამარცხდნენ — 2:3. მათთვის ამ შედეგს არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან სსრ კავშირის გუნდს უკვე განაღდებული ჰქონდა ფინალის საგზური მაშინ, როცა უნგრელები, ამ შეხვედრის შედეგის მიუხედავად, ფინალის მიღმა იყვნენ დარჩენილი.

ფინალურ ჯგუფში ოქროს მედლებისთვის იბრძვიან სსრ კავშირის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და იაპონიის ფრენბურთელები. აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და იაპონიის გუნდები ფინალში დაუმარცხებლად გავიდნენ. ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი პრაღაში გაიმართება წრიული სისტემით. სსრ კავშირის ნაკრები ხვალ შეხვდება ჩეხოსლოვაკიის, 6-ში — იუგოსლავიის, 7-ში — იაპონიის, 9-ში — რუმინეთის, 10-ში — ბულგარეთის, ხოლო 11-ში — პოლონეთის ნაკრებს.



## არმიელ კალათბურთელთა ფორუმზე

ბრატისლავა, 4 სექტემბერი. აქ დაიწყო სოციალისტური ქვეყნების არმიელ კალათბურთელთა ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩინეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კოლექტივები.

სსრ კავშირის გუნდს — ცსკა-ს პირველი მატჩი რუმინელებთან ჰქონდა. საბჭოთა სპორტსმენებმა ტაიმი მოიგეს ანგარიშით 49:33. შესვენების შემდეგ მათი უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა იყო. შეხვედრის საბოლოო შედეგია 98:70. საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა ა. ალაჩაჩიანის, გ. ვოლნოვისა და ი. ლიპსოს თამაშმა.

სურათებზე: ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატის პრიზიორები: ზევით — სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებული ტ. ჩენჩიკი, შუაში — ჩემპიონი უროს ტყორცნაში რ. კლიმი, ქვევით — თბილისელი სპორტის ოსტატი ა. შჩერბინა, რომელიც მესამე იყო 50 კმ-ზე სპორტულ სიარულში.

ფოტო ვ. ტუტოვისა და საკდესისა.





## პენალტების შემდეგ...

რომი, 5 სექტემბერი. ბოლონიაში გრძელდება ფეხბურთელთა საკლუბო გუნდების ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა მოსკოვის „სპარტაკისა“ და ესპანეთის ჩემპიონის — მადრიდის „ატლეტიკოს“ შეხვედრა.

მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. გამარჯვებული გამოვლინდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გუნდებს 5-5 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება მიეცათ. სპარტაკელებმა პეტროვმა, ლოგოფეტმა, ამბარცუმიანმა, გოლოდუბოვმა და კრუტიკოვმა ყველა პენალტი წარმატებით დააგვირგვინეს. სამაგიეროდ, მოსკოველმა მეკარე მასლაჩენკომ 2 საჯარიმო დარტყმა უკუაგდო. „სპარტაკს“ მიეკუთვნა გამარჯვება ანგარიშით 5:3.

სსრ კავშირის ფეხბურთელები გავიდნენ გათამაშების ფინალში, სადაც შეხვდებიან მასპინძლებს — „ბოლონიის“ კლუბს, რომელმაც მეორე ნახევარფინალურ მატჩში დაამარცხა რუმინეთის „სტიაგულ როშუ“ — 7:1.

„სპარტაკმა“ ეს თამაში ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: მასლაჩენკო, პეტროვი, დიკარევი, კორნეევი, კრუტიკოვი, ამბარცუმიანი, გოლოდუბოვი, ჰუსაინოვი, ოსიანინი, ლოგოფეტი, რეინგოლდი.

ბოლონიის საერთაშორისო ტურნირი პოპულარობით სარგებლობს ევროპის ქვეყნებში. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ესპანეთის ჩემპიონის „ატლეტიკოს“ ახალმა მწვრთნელმა ო. გლორიამ (იგი პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელი იყო ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში) გათამაშება თავის დებიუტად აირჩია. ამ ტურნირში საბჭოთა გუნდებიდან ადრე „ზენიტს“ უთამაშია. ლენინგრადელებმა მაშინ ნახევარფინალში დაამარცხეს ლისაბონის „ბენფიკა“ და II საპრიზო ადგილი დაიკავეს.

## დამატებით დროში

სოფია, 5 სექტემბერი. ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირის ფინალურ მატჩში მასპინძლებმა, ბულგარელებმა მოუგეს საბჭოთა ფეხბურთელებს — 3:2. თამაშის 90 წუთი ფრედ (2:2) დამთავრდა. გადამწყვეტი ბურთი დამატებით დროში იქნა გატანილი. ტურნირში საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: ბულგარეთი, სსრ კავშირი, უნგრეთი, რუმინეთი, იუგოსლავია და ჩეხოსლოვაკია.

## სსრ კავშირის თასზე

გუშინწინ გაიმართა მორიგი მეოთხედფინალური მატჩები სსრ კავშირის თასზე.

**მოსკოვის** ტორპედოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ალმაათის „კაირატი“. ანგარიში გახსნა ტორპედოელმა სტრელცოვმა, ხოლო შემდეგ კვოჩკინმა აღადგინა წონასწორობა — 1:1. მატჩის დამთავრებას აკლდა 1 წუთი, როცა მოსკოველთა მცველმა ანდრეიუკმა შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა „კაირატის“ კარში — 2:1.

**მინსკის** „დინამოსა“ და იაროსლავლის „შინიკის“ შეხვედრის ბედი გადაწყვიტა დინამოელთა ცენტრალური თავდამსხმელის მუსტიგინის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა 109-ე წუთზე.

თასის გათამაშების **ნახევარფინალში მოსკოვის „ტორპედო“ შეხვდება ოდესის „ჩერნომორეცს“, ხოლო მინსკის „დინამო“ — კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის გამარჯვებულს.**

## ამხანაგური მატჩი

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. მასპინძლებმა მიიღეს ქუთაისის „ტორპედოს“ ოსტატთა გუნდი.

ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა იამანიძემ. შესვენების შემდეგ ასათიანის მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა ერთ-ერთ მცველს და გავიდა კარში, ხოლო ცოტა ხნის მერე ხართიშვილმა შორიდან ძლიერი დარტყმით გაგზავნა ქუთაისელთა კარის დაბალ კუთხეში მესამე ბურთი — 3:0.

მატჩის დასასრულს ქუთაისელთა ნახევარმცველმა ზარიამ შეძლო ერთი საპასუხო გოლის გატანა და თამაში დამთავრდა „დინამოს“ გამარჯვებით — 3:1.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: **„დინამო“:** ურუშაძე (ნარსია), ჰელიძე, შერგელაშვილი, სიხვაძე, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, პეტრიაშვილი, დათუნაშვილი (ხუციშვილი), იამანიძე, ასათიანი, მესხი; **„ტორპედო“:** კვასხვაძე (ანდღულაძე), ლოსაბერიძე (წვერავა), წივწივაძე, ებრალიძე, ძოძუაშვილი, კუტივაძე (ზარია), ერქომაიშვილი (ხაჟალია), ვეკუა (გ. ნოდია), ჩხარტიშვილი, ასიტაშვილი, ჰითანავა.




ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის პირველობა

### გუშინ

გაიმართა „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი კალენდარული მატჩები.

**„ენგური“ (ზუგდიდი) — „სპარტაკი“ (კისლოვოდსკი) 3:1**

მასპინძლებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და სულ მალე რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელეს, მაგრამ კისლოვოდსკელთა დაცვა და მეკარე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. პირველ ტაიმში აშკარად იგრძნობოდა ზუგდიდელთა უპირატესობა, მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, გოლი საკუთარ კარში შეტევაზე მყოფმა გუნდმა მიიღო: 35-ე წუთზე „სპარტაკმა“ კონტრშეტევა წამოიწყო, ბურთი მიიღო უმეთვალყუროდ დატოვებულმა პანკოვმა, რომელმაც ოსტატურად აუქცია გვერდი მცველებს და გახსნა ანგარიში — 1:0.

შესვენების შემდეგ „ენგურის“ ფეხბურთელებმა ხანგრძლივი შტურმი წამოიწყეს, მაგრამ „სპარტაკის“ მეკარე თავგამოდებით იცავდა კარს. მასპინძლებმა საპასუხო გოლი მხოლოდ 65-ე წუთზე გაიტანეს: ჯოპუამ კარგად გამოიყენა ბულიას გადაცემა.

10 წუთის შემდეგ იმავე ჯოპუამ დააწინაურა თავისი გუნდი, ხოლო მე-80 წუთზე ხუჯაძემ ანგარიში სამამდე გაზარდა.

„ენგურმა“ სატურნირო ცხრილში მე-10 გამარჯვება ჩაიწერა.

გ. ალშიბაია.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
ზუგდიდი.

### ბ IV ზონა

**„კოლხიდა“ (ფოთი) — „დინამო“ (სოხუმი) 1:1**

მატჩი ორმხრივი იერიშებით დაიწყო, მაგრამ ერთხანს ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია უპირატესობას: თავდამსხმელთა დარტყმები ძალზე უზუსტო იყო. მაგრამ აი, მე-17 წუთზე სტუმრებმა გაითამაშეს კომბინაცია, რომელიც ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა გადელიამ. 1:0 — დაწინაურდნენ დინამოელები.

წონასწორობის აღსადგენად „კოლხიდას“ 8 წუთი დასჭირდა: ჯიბლაძემ ოსტატური დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. შემდგომში ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ამაოდ.

ა. ლომაია.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
ფოთი.

## თქვენთვის, სპორტსმენებო!

### საქრესი მოგვითხრობს

სპორტული ინვენტარის მწარმოებელმა ორგანიზაციებმა საბრძოლო პროგრამად გაიხადეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ“.

აი, რას იტყობინებიან საკდესის კორესპონდენტები სპორტულ აღჭურვილობათა სიახლეების თაობაზე.

### თხილამურები, რომლებიც ფინურს არ ჩამოუვარდებიან

მრავალფენიანი სარბენი თხილამურები, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებიან ფინურს, შეიქმნა ინჟინრების, დურგლების, მეცნიერების, მწვრთნელების ერთობლივი მუშაობის შედეგად. „უკტუსის“ თხილამურებზე, რომელთა ემბლემა „ვერცხლის ჩლიქია“, ჩვენში პირველად დეფიციტური მსუბუქი ბალზამის ხე შეცვალა თეთრმა პენოპლასტმა.

თხილამურების გამოცდამ დაამტკიცა, რომ პერვოურალსკის მარკის ეს სპორტული ინვენტარი მხოლოდ 40 გრამით მძიმეა ფინურ თხილამურებზე, ხოლო გამძლეობითა და მოქნილობით მათ არაფრით ჩამოუვარდება.

ფაბრიკამ უკვე გამოუშვა ათასხუთასი ასეთი თხილამური.

შეიქმნა, აგრეთვე, თოვლჭყაპიან ამინდში საწვრთნელი თხილამურები, რომელთა სრიალა ზედაპირი გაკეთებულია გეტინაქსიდან, რომელსაც ნესტი არ აშინებს.

ნ. კორდიუკოვი.

პერვოურალსკი.

### საბჭოთა კატამარანი

ლენინგრადის სპორტული ხომალდების საშენ ვერფში დაიწყო სარბოლო იალქნიანი ნავების სერიული წარმოება. 6-მეტრიანი სიგრძის ორი კორპუსი შეაერთეს მსუბუქი ლითონის კონსტრუქციებით. იალქნის ფართობი 21 კვადრატული მეტრია.

160 კგ — ასეთია სერიული გამოშვების კატამარანის სრული წონა. მაგრამ უკვე შეიქმნა 140-კილოგრამიანი ხომალდის საგამოცდო ნიმუში. სასურველი ქარის დროს იგი 22 კვანძის სისწრაფით მიდის.

ვ. პალონი.

ლენინგრადი.

# ტურისტულ კოცონთან

საქართველოს დედაქალაქში ორ დღეს გაგრძელდა ტურისტთა I რესპუბლიკური შეკრება, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, რუსთავის, გურჯაანის, ზესტაფონის, ქუთაისის, დუშეთის, ლაგოდეხის, სამტრედიისა და სხვა რაიონებისა და ქალაქების ტურისტები. შეკრებაზე გამოფენილი იყო საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომის დიდების ამსახველი მრავალი ექსპონატი, ტურისტული ლაშქრობების დროს თავმოყრილი ფოტო თუ სხვა მასალა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის კვების მრეწველობის მანქანების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს — „ეთერის“, რუსთაველ და სოხუმელ ტურისტთა ჯგუფების გამოფენები. შეკრების მონაწილენი ინტერესით ათვალიერებდნენ მარუხის ბრძოლების მონაწილეთა სურათებს, კომკავშირულ ბილეთებს, წერილებს, სიგელებს, ხელყუმბარებს, ცარიელ მასრებს, იარაღის ნაწილებს.

... აი, ტრიბუნაზე ადიან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ო. ჩერქეზია და ს. ხაბეიშვილი, საბჭოთა არმიისა და ფლოტის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე კომკავშირის დარგში, მაიორი ო. ზინენკო. შეკრების მონაწილე საპატიო სტუმრები — გენერლები კ. კალაძე, კ. ჯახუა, ვ. ტიტოვი და სხვ.

შეკრების მონაწილეთ მიესალმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ო. ჩერქეზია. მანვე წაიკითხა საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომის დიდების გზებზე ტურისტული მოგზაურობის მონაწილეთა საკავშირო შტაბის თავმჯდომარის, სსრ კავშირის მარშალ ი. კონევის დეპეშა და შეკრება გახსნილად გამოაცხადა.

სიტყვებით გამოვიდნენ „ეთერის“ წარმომადგენელი ა. გვასალია, მარუხის უღელტეხილზე გამართული ბრძოლების მონაწილე ვ. რუხაძე, მაიორი ო. ზინენკო და სხვ.

შემდეგ გაიმართა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. ყველას აჯობა თბილისის 1 მაისის რაიონის წარმომადგენელმა ნ. შათირიშვილმა. გუნდური პირველობაც ამავე რაიონის სპორტსმენებმა დაისაკუთრეს.

შეკრების მონაწილეებმა ნახეს მხატვრული ფილმი, დაათვალიერეს საბრძოლო დიდების მუზეუმი, შეხვედრა მოუწყეს მარუხის უღელტეხილის დამცველებს — ვ. რუხაძესა და გ. ლომიძეს.

მეორე დღეს მოეწყო შეჯიბრება ტურისტულ მრავალჭიდსა და ტყვიის სროლაში. I ადგილი დუშეთის რაიონის ტურისტებმა დაიკავეს.

ღამით, კოცონთან, ტურისტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულებს გადაეცათ ჯილდოები. I ადგილი მოგზაურობათა კარგი თემატიკისთვის მოიპოვა „ეთერის“ ტურისტთა ჯგუფმა. I ადგილი მარუხის უღელტეხილზე მასობრივი (34 კაცი) და შინაარსიანი გადასვლისთვის — რუსთაველებმა.

ო. ჩერქეზიამ ფასიანი საჩუქრები გადასცა ამ გუნდების წევრებს, ხოლო რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის ოსტატს კ. ნადირაშვილს მიენდო ჩირაღდნის წაღება მოსკოვში, ტურისტთა საკავშირო შეკრებაზე, რომელშიც თბილისელი და რუსთაველი ტურისტებიც მიიღებენ მონაწილეობას.

რ. გაბრიჩიძე.

* * *

სურათზე: შეჯიბრების მომენტი ცეცხლის დანთებასა და წყლის ადუღებაში. შუაში დგას მარუხის გმირი ვ. რუხაძე.

ფოტო ავტორისა.



## ე. კაკაბაძე ფინალში

ნოვოსიბირსკი, 5 სექტემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალი. შესანიშნავად ითამაშა თბილისელმა ოსტატმა ე. კაკაბაძემ, რომელმაც 9 ქულით I ადგილი დაიკავა. II-III ადგილები გაიყვეს ლენინგრადელმა საერთაშორისო ოსტატმა ლ. ვოლპერტმა და ტაშკენტელმა ოსტატმა ა. მუსლიმოვამ — 8,5-8,5. სამივე მოჭადრაკემ ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ს. მეგრელიშვილი.

## ფინიში კიევში

კიევი, 4 სექტემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). დასრულდა სსრ კავშირის ქალთა XXVI საჭადრაკო ჩემპიონატის აქაური ნახევარფინალი. I ადგილი დაიკავა ოსტატმა ნ. ალექსანდრიამ — 10,5 ქულა 13-დან. II ადგილზეა ა. გოლოვინა (მინსკი) — 9,5. III-V — ოსტატი ნ. ვოიცეკი (მოსკოვი), საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია, ც. კახაბრიშვილი — 8-8.

ფინალში გავიდნენ ალექსანდრია, გოლოვინა და ვოიცეკი.

ი. ვეტოხინი.

## ჯერ ორნი...

პეტროზავოდსკი (ჩვენი კორ.). მიიწურა სსრ კავშირის ქალთა წლევანდელი საჭადრაკო ჩემპიონატის აქაური ნახევარფინალი. უკვე ცნობილია ორი ფინალისტი — ოსტატი კ. სკეგინა (10 ქულა) და გ. არჩაკოვა (9). III ადგილის პრეტენზიები აქვთ ვ. ტიხომიროვას (8) და ლ. იდელჩიკს (7,5). სხვათა შორის, დასკვნით ტურში ისინი ერთმანეთს ეთამაშებიან.

შემდეგ მოდიან კ. ზვორიკინა, ც. კობაიძე, ო. კაცკოვა და გ. ვართანიანი (6,5-6,5). ნ. ჩიქობავას 4 ქულა აქვს.

ც. კობაიძეს ფინალში მოხვედრის შანსები ჰქონდა, ბოლო ტურებში ტიხომიროვასა და ლ. მადურასთან მოსაგები პოზიციები ლოგიკურ შედეგამდე რომ მიეყვანა. ორივე პარტია მან ყაიმით დაამთავრა.

ო. ალხანიშვილი.

## ბორჯომიდან გფრ-ში

შესანიშნავად თამაშობს წლეულს ტურნირებში პიატიგორსკელი მოჭადრაკე ვ. კოზლოვსკაია. მან ჯერ სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა, შემდეგ გაიმარჯვა რუსეთის ფედერაციის ქალთა II და ბუდაპეშტის ქალთა საერთაშორისო ტურნირებში. ახლა ნიჭიერი ოსტატი მხარს დაუმშვენებს მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილსა და საერთაშორისო ოსტატ ტ. ზატულოვსკაიას ქალთა III საჭადრაკო ოლიმპიადაში, რომელიც ოქტომბრის დამდეგს აიღებს სტარტს გფრ-ში.

ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადა დიდად საპასუხისმგებლო შეჯიბრებაა. მასში თვითეული ქვეყნის გუნდი მხოლოდ 2 მოჭადრაკითაა (1 სათადარიგო) წარმოდგენილი. პირველ ორ ოლიმპიადაში უძლიერესის სახელი ჩვენმა ქალებმა დაისაკუთრეს. ახლაც რომ არავის დაუთმონ ვერა მენჩიკის სახელობის გარდამავალი ოქროს თასი, ნ. გაფრინდაშვილი, ვ. კოზლოვსკაია და ტ. ზატულოვსკაია ბორჯომში გულდაგულ ემზადებიან გამოცდილი მწვრთნელების, საერთაშორისო ოსტატების ა. კონსტანტინოპოლსკისა (მოსკოვი) და ვ. მაკოგონოვის (ბაქო) მეთვალყურეობით.

ჭ ა დ რ ა კ ი

# მილიონერთა გასაჭირი

# აქტიურად ეხმაურებიან

ის იყო მეურნეობის წევრთა საერთო კრება დამთავრებულად უნდა გამოეცხადებინათ, რომ ხალხში ახალგაზრდების ხმა გაისმა: ასე როდემდე ვიყოთ, სპორტის მოყვარულებსაც მოგვხედეთო. მეურნეობის თავკაცებმა, თითქოს რაღაც შორეული და მივიწყებული ამბავი გაახსენესო, გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს.

მოხდა ისე, რომ ჩვენც სწორედ მეორე დღეს ჩავედით მანქანათსაგამოცდო საღგურის მცხეთის საცდელ საბჭოთა მეურნეობაში. რამდენიმე ხნის წინ რედაქციაში იქაურ სპორტის მოყვარულთა წერილი შემოვიდა, — ახალგაზრდები დახმარებას გვთხოვდნენ. და აი, ახლა ვაპირებდით მდგომარეობის გარკვევას.

ზემოხსენებული მეურნეობა სამი სოფლის — წეროვნის, ჩარდახის და და გოროვნის მშრომელებს აერთიანებს. ამ სოფლებში უფროსების მხარდამხარ ნაყოფიერად შრომობს ახალგაზრდობა, რომელსაც კარგი ჯარჯის შემდეგ კარგი გართობა-დასვენება, ფიზიკური წრთობა და სპორტული ჟინის მოკვლაც სურს. მეურნეობაში კი...

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაძღოლა ბევრს მივანდეთ, მაგრამ ამ საქმისთვის არავინ გამოგვადგაო, — გვითხრეს. მაგალითად, ფ. ჭავჭავაძე დაგვისახელეს. ამ ჭავჭავაძეს მეხანძრე გუშაგის ხელფასს უხდიდნენ თურმე 6 იანვრიდან 16 აპრილამდე, როგორც ფიზკულტურის „მეთოდისტს“. მას კი ხელიც არ გაუნძრევია საერთო საქმისთვის. მეურნეობაში ვერ გვიპასუხეს, რა სექციები აქვთ ჩამოყალიბებული და ვინ უდგას ამ სექციებს სათავეში. ეჭვით გვითხრეს, ჩვენს ფიზკულტურულ კოლექტივს მგონი მე-8 აგროუბნის აგრონომი ნ. მაჩხანელი უნდა ხელმძღვანელობდესო. თავად მაჩხანელმა კი ასეთი პასუხი გაგვცა: მე თვითონ ვითავე რითიმე დავხმარებოდი მეურნეობის ფიზკულტურელებს, მაგრამ მარტო ვერას გავხდიო.

გამართლდა ახალგაზრდების საყვედური. ვის მოეთხოვება პასუხი, რომ მეურნეობაში არ მუშაობს ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ჭიდაობისა და სხვა სექციები? თუმცა, რა სექციებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მეურნეობაში შემავალი 3 სოფლიდან მხოლოდ გოროვანს აქვს მარტივი ბაზები? ისიც უნდა ითქვას, რომ ფიზკულტურული მოედნები იქაც უყურადღებოდაა მიტოვებული.

გოროვნელმა ახალგაზრდებმა ეს ბაზა სპორტის თავგამოდებული ქომაგის ე. ქარქუსაშვილის ხელმძღვანელობით ამ რამდენიმე წლის წინათ მოაწყეს. გოროვანი ერთ ხანს მართლაც იქცა მეურნეობის სპორტულ ცენტრად, შემდეგ კი კარგი ტრადიცია დავიწყებას მიეცა. ახალგაზრდებს აინტერესებთ, შეიძლება თუ არა მეურნეობას ჰყავდეს ფიზკულტურის სპეციალისტი.

მეურნეობის ხელმძღვანელთა საყურადღებოდ უნდა განვაცხადოთ, რომ არსებობს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალური დადგენილება, რომლის ძალითაც იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სადაც 500 კაცზე მეტი მუშაობს, უფლება ეძლევათ შტატში აიყვანონ ფიზკულტურის სპეციალისტი. მცხეთის საცდელ მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა კი 600-ს აღწევს.

შარშან მეურნეობის წლიურმა შემოსავალმა 1.807.000 მანეთს მიაღწია. ამჟამად აქ 19 უმაღლესი და 35 სპეციალური საშუალო განათლების სპეციალისტი მუშაობს, 11 ახალგაზრდა დაუსწრებლად სწავლობს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. ეს და ზოგი სხვა საგულისხმო ციფრი მეურნეობის კედლის გაზეთში ამოვიკითხეთ. შრომასა და სწავლაში მიღწეულ სასიხარულო მაჩვენებლებს რატომ არ უნდა ამდიდრებდეს ფიზკულტურულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებები?

თ. გაჩეჩილაძე.

მცხეთა. (ჩვენი სპეც. კორ.).

გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა „სიხარულის“ ფიზკულტურელთა საერთო კრებამ უკვე მეორე წელია, რაც მასობრივ-ფიზკულტურულ საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებზე იმსჯელა და მათი აღმოფხვრის გზები დასახა. მაშინვე გადაწყდა შეეკეთებინათ ბაზები; შეექმნათ სექციები, რომლებსაც საზოგადოებრივ საწყისებზე უხელმძღვანელებდნენ თანრიგოსანი სპორტსმენები.

კრების ერთსულოვან გადაწყვეტილებას მეურნეობის დირექტორმა გ. თვალთვაძემაც დაუჭირა მხარი. დახმარებასაც დაჰპირდა მეურნეობის ფიზკულტურელებს, მუშათა კომიტეტმა კი (თავმჯდომარე ნ. კრბაშიანი) საჭირო სახსრებიც გამოჰყო. ამ მხარდაჭერამ ფრთები შეასხა ახალგაზრდა თაოსნებს. მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოში შედგა გეგმები, განაწილდა ფუნქციები და მუშაობა გაჩაღდა. საქმიანობის გამოცოცხლების პირველი შედეგი ის იყო, რომ მეურნეობის 240 თანამშრომელი „კოლმეურნის“ წევრი გახდა, 15 ფიზკულტურელი ტყვიის სროლის სექციაში ჩაეწერა, ფეხბურთის მოყვარულებმა 2 გუნდი შეადგინეს, სხვებმა ფრენბურთის, მძლეოსნობისა და სხვა სექციებს მიაშურეს.

პირველმა წარმატებამაც არ დააყოვნა: ტყვიის მსროლელებმა ლ. დრონოვის ხელმძღვანელობით იმდენი ივარჯიშეს მეურნეობის ღია სასროლეთზე, რომ აფხაზეთის სოფლის სპორტსმენთა ჩემპიონატში ყველას აჯობეს და სოხუმიდან შინ პირველი ხარისხის დიპლომებით დაბრუნდნენ. ვალში არც ფეხბურთელები დარჩნენ. შარშან მათ II ადგილი დაიკავეს „კოლმეურნის“ რაისაბჭოს ჯათამაშებაში, რისთვისაც 19 სპორტსმენს თანრიგი მიეკუთვნა.

ნაკლებად არც წლეულს გამოუჩენიათ თავი. გუნდის 5 წევრი — გ. ქვილითაია, ჯ. ბერძენიშვილი, ჯ. გოგოლაძე, ვ. კოჩკონიანი და შ. კილეშიანი აფხაზეთის სოფლის ფეხბურთელთა ნაკრებში შეიყვანეს. მეურნეობაში დიდი ყურადღება ეთმობა ნორჩ ფეხბურთელთა აღზრდასაც.

ფრენბურთელები, მძლეოსნები, კალათბურთელები რეგულარულად ატარებენ ამხანაგურ და სამატჩო შეხვედრებს სხვა კოლექტივებთან, აწყობენ ტურნირებს მეურნეობის პირველობაზე.

აქაური ფიზკულტურული კოლექტივის წარმატება იმანაც განაპირობა, რომ შეჯიბრებებს, ცენტრალური სპორტული ბირთვის გარდა, ოთხივე აგროუბნის სპორტმოედნებზე აწყობენ. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს მე-3 აგროუბნის ფიზკულტურული კოლექტივი, რომელსაც ჯ. ბერძენიშვილი უდგას სათავეში.

მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები კმაყოფილებით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. ეს დადგენილება ხომ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ავალებს მეტი ყურადღება დაუთმონ მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას სოფლად, განავითარონ სოფლის ახალგაზრდობისათვის ყველაზე ხელმისაწვდომი სპორტი, რეგულარულად მოაწყონ შეჯიბრებები კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, რაიონულ ცენტრებში, გააფართოონ კომპლექსური სპორტული მოედნებისა და სტადიონების მშენებლობა.

„სიხარულის“ ფიზკულტურელებმა დადგენილების გაცნობისთანავე გადაწყვიტეს დააჩქარონ მეურნეობის სტადიონის კეთილმოწყობა. აქვე იქნება სპორტული ბირთვი, სიგრძეზე და სიმაღლეზე სახტომი ორმოები, სატყორცნი სექტორები, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. რაც მთავარია, მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ფიზკულტურელები.

ო. ივდოშვილი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

გაგრა.

[illegible]

## ზნაური

გაიმართა რაიონის პირადგუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში 50-ზე მეტი კოლმეურნე ათლეტი მონაწილეობდა. გუნდური გამარჯვება ზნაურელებმა მოიპოვეს. პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ი. ბუკულოვმა, ფ. ჯუსოევმა, გ. ლაცაბიძემ, უ. გაბარაევმა, ბ. ქელეხსაევმა, ზ. თხელიძემ (ყველანი — ზნაური), კ. ბესტაევმა (გუგუთი), გ. თანდელოვმა (ავნევი).

ვ. მელქოევი.

## წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით საქართველოს სსრ სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **ქართულ ჭიდაობაში** — ჯ. ხარაბაძეს, ვ. იაშვილს, ჯ. გუთნიაშვილს (სამივენი — კასპის „კოლმეურნე“), გ. დალაქიშვილს (თბილისი, ასკ).

## წიგნის თარო

# „100 პარტია“

დიდოსტატი პ. კერესი ცოცხალი მატიანეა ჭადრაკის ისტორიისა ბოლო 30 წლის მანძილზე. ალბათ, ამიტომაც განუზრახავს ესტონელ დიდოსტატს დაეწერა თავისი 100 რჩეული პარტიის კომენტარები, რაც, ფაქტიურად, მისი ცხოვრების ამსახველი წიგნია.

და აი, ამას წინათ, თბილისის წიგნის მაღაზიებში გამოჩნდა „პ. კერესი. 100 პარტია“. იგი დასტამბა მოსკოვის გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა“.

„100 პარტია“ — ესაა საუკეთესო, რაც კი შევძელი შემექმნა საჭადრაკო დაფასთან“, — ამბობს პ. კერესი წიგნს დართულ წინასიტყვაობაში. ნიჭიერ დიდოსტატს ათასზე მეტი პარტია აქვს ნათამაშები, მაგრამ, ცხადია, ყველა არ პასუხობს მის გემოვნებას, ან იმ მოთხოვნებს, რაც მან წიგნის შედგენისას წაუყენა თავის პარტიებს.

პარტიები დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ავტორმა თვითეულ თავს წაუმძღვარა პატარა მიმოხილვა, რაც სინათლეს ჰფენს მისი შემოქმედების განვითარების გარკვეულ პერიოდს და ამა თუ იმ ტურნირის მნიშვნელობაზე მოგვითხრობს.

მთელი თავისი სპორტული ცხოვრება პ. კერესი 12 პერიოდად ჰყოფს. პირველად იგი ასპარეზზე 1929 წელს 13 წლისა გამოჩნდა (მომავალი დიდოსტატი 4 წლისა იყო, ჭადრაკის თამაში რომ ისწავლა). 22 წლის პ. კერესი უკვე მსოფლიო ჩემპიონობის აღიარებული პრეტენდენტია. ამ დროს მის აქტივშია გამარჯვებები ა. ალიოხინთან, ხ. კაპაბლანკასთან, მ. ეივესთან, ს. რეშევსკისთან, რ. ფაინთან და 1938 წლისათვის სხვა დიდ მოჭადრაკეებად აღიარებულ მეტოქეებთან.

როგორც ცნობილია, პ. კერესი 25 წლის მანძილზე რჩებოდა პრეტენდენტად და ვერც ერთხელ ვერ ითამაშა მატჩი მსოფლიო ჩემპიონთან, თუმცა სამჯერ თითქმის მოიპოვა ეს უფლება. რატომ? ამას დაინტერესებული მკითხველი დიდოსტატის წიგნში ამოიკითხავს.

უდავოა, პ. კერესის ნაშრომი დიდ სამსახურს გაუწევს ყველას, ვისაც სურს დაოსტატდეს ჭადრაკში, სრულყოს თავისი ნიჭი ანალიზში და ღრმად ჩასწვდეს ჩვენი დროის ჭადრაკის ერთ-ერთი კორიფეის შემოქმედებით ლაბორატორიაში.

თ. ნინოშვილი.





# ...და მაინც საბჭოთა ნაკრები

ბ უ დ ა პ ე შ ტ ი, 5 სექტემბერი. „ნეპსტადიონზე“ გუშინ დამთავრდა კონტინენტის პირველობა მძლეოსნობაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონატის ბოლო დღემდე ლიდერობდნენ დამოუკიდებლად მოასპარეზე გდრ-ისა და გფრ-ის კოლექტივები. ამ დროისათვის საბჭოთა ნაკრები III ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ უკანასკნელმა სტარტებმა ლიდერებს პოზიცია შეურყია და საბოლოოდ გამარჯვება სსრ კავშირის გუნდს დარჩა.

ჩემპიონატის ფინიშზე განსაკუთრებით დაძაბული ბრძოლა გაიმართა 3.000 მეტრზე წინაღობებით რბენაში, 5.000 მეტრზე რბენაში, 80 და 110 მეტრზე თარჯრბენში, 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში, უროს ტყორცნაში.

3.000 მეტრზე წინაღობებით რბენას დიდხანს ლიდერობდა მსოფლიოს რეკორდსმენი გ. რულანტსი (ბელგია). ფინიშამდე 400 მეტრით ადრე იგი უახლოეს მეტოქეთ 30 მეტრით ასწრებდა და, ცხადია, მისი გამარჯვებაც ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ სწორედ აქ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. რულანტსს პირდაპირ სპრინტერის სისწრაფით გამოეკიდა კიეველი ვ. კუდინსკი, რომელსაც ფეხდაფეხ მიჰყვა თანაგუნდელი ა. კურიანი. საბჭოთა ათლეტები თანდათან მიუახლოვდნენ ბელგიელს და მალე რბოლის სათავეში კუდინსკი მოექცა, რომელმაც გაიმარჯვა კიდევაც — 8.26,6. ეს სსრ კავშირის ახალი რეკორდია და მხოლოდ 0,2 წამით უარესია რულანტსის მსოფლიო რეკორდზე.

5.000 მეტრზე რბენაში დიდხანს ლიდერობდნენ უნგრელები და გდრ-ის სპორტსმენები. საბჭოთა ათლეტი გ. ხლისტოვი ჩამორჩა (ლ. მიკიტენკო ფინალში ვერ მოხვდა), ასპარეზობის ფავორიტი, ფრანგი მ. ჟაზი კი დიდხანს მირბოდა მონაწილეთა 13-კაციან ჯგუფში და როცა ფინიშამდე 3 წრე დარჩა, სისწრაფეს უმატა, ბოლო წრეზე კი მეტოქეთ იმდენად მაღალი ტემპი შესთავაზა, რომ მას ვერავინ აჰყვა. ჟაზი, ცხადია, პირველი იყო — 13.42,8.

უროს ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენმა დ. ჟივოცკიმ (უნგრეთი) ჩემპიონატის დაწყებამდე პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მას მთავარ მეტოქედ რ. კლიმი (სსრ კავშირი) მიაჩნია და, რომ ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონს ბუდაპეშტში გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვს. პროგნოზი სინამდვილედ იქცა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელი ბევრს ეცადა გამარჯვებით გაეხარებინა თანამემამულენი, ჩემპიონობა კლიმმა მოიპოვა — 70,02 მ.

სსრ კავშირის ნაკრებში საქართველოს ორი სპორტსმენი — კ. გორძემაშვილი და ა. შჩერბინა მონაწილეობდნენ. სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორს შუბის ტყორცნაში კ. გორძემაშვილს „ნეპსტადიონზე“ გარბენი არა და არ გამოუვიდა, რის გამო მან IX ადგილი დაიკავა (75.68 მ). სამაგიეროდ, ივაჟკაცა შჩერბინამ — 50 კმ-ზე სპორტულ სიარულში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

ბოლო დღეს სსრ კავშირის გუნდის ყულაბაში ბევრი ქულა „ჩაყარეს“ ტ. ჩენჩიკმა და ლ. კომლევამ (სიმაღლეზე ხტომაში), აგრეთვე სპრინტერებმა, რომლებმაც ესტაფეტაში საპრიზო ადგილები მოიპოვეს.

ჩემპიონატის ტექნიკური შედეგები იხილეთ შემდეგ ნომერში.



# სეზონი გაიხსნა

გუშინწინ თბილისის იპოდრომმა სეზონი გახსნა. ტრიბუნებზე, რომლებიც 10 ათას მაყურებელს იტევს, ნემსი არ ჩავარდებოდა. ხალხი იყო შეფენილი იპოდრომის გარშემო გორაკებზეც. გაიმართა 4 დოღი და 7 ჩორთითი ცხენებით ასპარეზობა. მაყურებლებს მაღალი ოსტატობა უჩვენეს ცნობილმა მხედრებმა — მოსკოველებმა ე. კრაშენინიკოვმა, ნ. კოლოდნიმ, ვ. ემელინმა, ა. გრიაზნოვმა, ვ. შიროკოვმა, ვ. ბოტინმა, თბილისელებმა ი. პურგინა-ამილახვარმა, ვ. გულისაშვილმა, ო. კობიძემ და სხვ.

ჩორთითი ცხენების შეჯიბრებაში ყველას აჯობა ე. კრაშენინიკოვმა, რომელმაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრიზი მოიპოვა.

მაგრამ რაოდენ საინტერესოც უნდა იყოს ჩორთითი ცხენებით შეჯიბრება, მაყურებელთა სიმპათიები მაინც დოღის მონაწილეთა მხარესაა. დიდი წარმატება ხვდა უხუცეს ქართველ ჟოკეის, შესანიშნავ მხედართა მთელი პლეადის აღმზრდელს ა. სურმავას, რომელმაც 2000 მეტრზე დოღი მოიგო და სეზონის გახსნის პრიზი მიიღო. ამ ასპარეზობაში მისი მთავარი მეტოქე ი. სულეიმანოვი იყო. მხედრებმა დიდი ნაწილი ერთად განვლეს, მაგრამ ფინიშის სწორზე სურმავა დაწინაურდა და დისტანცია პირველმა დაასრულა.

1800 მეტრზე დოღი წმინდა სისხლის 3-წლიანი ცხენებით მოიგო ტ. დანელიამ. 1400 მეტრზე დოღში წმინდა სისხლის 2-წლიანი ცხენებით კი ი. სულეიმანოვმა აჯობა ყველას. მანვე მოიგო დოღი 2 კილომეტრზე წმინდა სისხლის 3-წლიანი ცხენებისთვის.

• • •

**სურათებზე:** ზევით მარცხნივ — **2000 მეტრზე დოღის ერთ-ერთი მომენტი;** მარჯვნივ — **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრიზის მფლობელი მოსკოველი ე. კრაშენინიკოვი;** ქვევით — **სეზონის გახსნის პრიზის მფლობელი ა. სურმავა გამარჯვების შემდეგ.**

ფოტო ბ. ქვათაძისა.

# წარუმატებელი ფინიში

მ ა ი ნ ი ს ფ რ ა ნ კ ფ უ რ ტ ი, 4 სექტემბერი. ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო დღის ფინალები საინტერესო, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენთათვის ნაკლებად სანუგეშო გამოდგა. გამოდევნებით რბოლაში შეჯიბრების დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ სსრ კავშირის გუნდმა დაკარგა შარშან მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ნახევარფინალში მან წააგო გფრ-ის წარმომადგენლებთან, რომლებმაც ბეტონის ტრეკის ისტორიაში საუკეთესო დრო აჩვენეს — 4.29,33. საბჭოთა გუნდი მათ 2 წამით ჩამორჩა.

მაგრამ ჩემპიონატში გამარჯვება არც გერმანელებს ეწერათ. მათ ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს იტალიელებს და საბოლოოდ II ადგილი დაისაკუთრეს.

ახალმა ჩემპიონებმა ამ ერთადერთი ოქროს მედლით, ფაქტიურად, იხსნეს იტალიის სპორტული პრესტიჟი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა ს. მოსკვინმა, ლ. ვუკოლოვმა, მ. კოლიუშევმა და მ. ლაცისმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, მაგრამ არც ეს ნადავლი მიიღეს უბრძოლველად. III ადგილისათვის გადამწყვეტ სერიაში (გდრ-ის გუნდთან) ფინიშამდე წრენახევრით ადრე რბოლას ჩამორჩა ლაცისი და ჩვენმა გუნდმა რბოლა 3 ველოსიპედისტით დაამთავრა.

საბჭოთა სპორტსმენებისთვის წარუმატებელი გამოდგა ტანდემისტთა ასპარეზობაც. ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორებმა ი. ბოდნიეკსმა და ვ. ლოგუნოვმა IV ადგილი დაისაკუთრეს. ჩემპიონთა ოქროს მედლები ამ სახეობაში მოიპოვა შესანიშნავმა ფრანგულმა დუეტმა — დ. მორელონმა და პ. ტრანტენმა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ჩემპიონატში ეს იყო მათი მეორე ოქროს მედალი.

ფრანკფურტის მსოფლიო პირველობა საბჭოთა ველოსიპედისტებისთვის წარუმატებელი გამოდგა. შარშან სან-სებასტიანში მათ 7 მედალი დაიმსახურეს (ოქროს — 3, ვერცხლის — 2 და ბრინჯაოს — 2), წელს კი ოქროს მხოლოდ 1, ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 3 მედალი. ამასთან, ეს ნადავლი უმთავრესად „მშვენიერთა სქესის“ წარმომადგენელთა დამსახურებაა. ვაჟებს კი, რომლებიც საბჭოთა გუნდის სამ მეოთხედს შეადგენდნენ, ერგოთ მხოლოდ... ბრინჯაოს 2 მედალი.

### მსოფლიო პირველობა ველოსპორტში

## იტალიელთა სრული უპირატესობით

**მაინის ფრანკფურტი, 4 სექტემბერი.** დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ტრეკზე პროფესიონალთა შორისაც. მოყვარულთაგან განსხვავებით, აქ თავი ისახელეს იტალიელებმა. გამოდევნებით 5 კილომეტრზე რბოლაში ჩემპიონი გახდა ლ. ფაჯინი. უძლიერესი სპრინტერის სახელიც იტალიელ ჯ. ბეგეტოს დარჩა.

ბედმა უმტყუნა სპრინტერთა რბოლაში გამარჯვების მთავარ ფავორიტს, რომის ოლიმპიადის ჩემპიონს ს. გაიარდონის (იტალია), რომელიც ავსტრიელ რ. ბაჩთან რბოლისას მსაჯებმა ტრეკიდან მოხსნეს. გაიარდონი, საბოლოოდ, III ადგილზე დარჩა.

## მასპინძელთა გამარჯვება

სოხუმში დამთავრდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირადგუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. ხალიჩაზე გამოვიდნენ აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ცხაკაიას, წითელწყაროს, ზუგდიდის, გარდაბნის, მახარაძისა და სხვა რაიონების ნაკრები გუნდები.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მასპინძლებმა, რომლებმაც დამსახურებულად დაიკავეს კიდეც I გუნდური ადგილი. II ადგილზე არიან გარდაბნელი მოჭიდავეები, ხოლო III — აჭარის ნაკრები.

პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: ე. მეგრელიშვილი (მახარაძე), გ. ბაშიანი, გ. წურწუმია, ვ. ჭელიძე (ყველანი — აფხაზეთი), გ. ძიმისტარაშვილი, გ. ბადაშვილი (ორივენი — გარდაბანი), ა. ცხოვრებოვი (სამხრეთ ოსეთი).

**შ. ჯალაღონია.**
**(ჩვენი კორ.)**

სოხუმი.

## სპორტი ს[illegible]

● ვ ე ნ ა, 4 სექტემბერი. ჰოკეის საერთაშორისო ლიგის კონგრესმა ხმების უმრავლესობით გადაწყვიტა 1969 წლიდან მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში „ა“ ჯგუფში მოასპარეზე გუნდების რაოდენობა ექვსამდე დაიყვანოს. ექვსეული ერთმანეთს ორ წრედ შეხვდება. შარშანდელ სეზონში „საცდელი“ შეჯიბრება გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. ახლა ეს ტურნირი ჰოკეის საერთაშორისო ლიგის მიერ ოფიციალურადაა ცნობილი, ხოლო ჩეხოსლოვაკიის გუნდი — ზკლ ჰოკეის ანალებში შეტანილია, როგორც ამ თასის პირველი მფლობელი.

● **ლუგანსკი,** 5 სექტემბერი. **უმაღლეს პილოტაჟში საჩვენებელი გამოსვლებით დაიწყო სსრ კავშირის XIII ჩემპიონატი სათვითმფრინავო სპორტში. საჩვენებელ პროგრამაში შესანიშნავად იასპარეზა მსოფლიოს ჩემპიონმა ვ. მარტემიანოვმა. ჩემპიონატში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვის საუკეთესო სპორტსმენები. აქვე გაიმართება ქალთა IV საკავშირო პირველობა და გათამაშდება საპატიო პრიზი — ვ. ჩკალოვის სახელობის თასი.**

● ს ტ ო კ ჰ ო ლ მ ი, 5 სექტემბერი. მოტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ოქროს 7 და ვერცხლის 5 მედალი დაისაკუთრეს სსრ კავშირის სპორტსმენებმა 41-ე „სამოტოციკლო ოლიმპიადაში“. შეჯიბრების პირველ დღეს სტარტზე გამოვიდა ევროპისა და ამერიკის 16 ქვეყნის 300 სპორტსმენი. 1.600-კილომეტრიანი რთული ტრასის გავლის შემდეგ, ტურნირის მეექვსე დღეს, ფინიშთან მხოლოდ მონაწილეთა ორი მესამედი მივიდა. ასპარეზობა უჯარიმოდ დაამთავრეს დოსააფის, საბჭოთა არმიისა და პროფკავშირების სპორტსმენებმა — რ. რეშეტნიკსმა, ბ. დრესვიანიკოვმა, ე. კირსისმა, ვ პილაევმა, ვ. სიომინმა, გ. კლიუჩენკომ და ე. პეტუშკოვმა, რისთვისაც ისინი „ოქროთი“ დაჯილდოვდნენ. „ვერცხლი“ მიიღეს: ლ. ვორონოვიჩმა, გ. ჟდანოვმა, ტ. სეპმა, ბ. დინაბურგმა და ვ. შილიაევმა. ჩვენი ქვეყნის 15 სპორტსმენიდან მხოლოდ სამმა ვერ დაამთავრა რბოლა საბურავის დაზიანების გამო. დიდ წარმატებას მიაღწიეს გდრ-ის სპორტსმენებმა. მათ დაისაკუთრეს მთავარი პრიზი — „საერთაშორისო ნადავლი“. ამ ქვეყნის ყველა 6 მოტოციკლისტი უჯარიმოდ მივიდა ფინიშთან.

● **სუნდსვალი** (შვეცია), **5 სექტემბერი.** აქ გათამაშდა ბალტიისპირეთის თასი ძალოსნობაში, რომელიც 37 ქულით საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს. პოლონელებს 32 ქულა აქვთ, გდრ-ის წარმომადგენლებს — 24, შვეციელებს — 20, ხოლო გფრ-ის ათლეტებს — 17. საბჭოთა ძალოსანმა კაცურამ (მსუბუქი წონა) 420 კილოგრამით I ადგილი დაიკავა. უახლოეს მეტოქეს, პოლონელ ნოვაკს მან 50 კგ-ით აჯობა. ქვესაშუალო წონის ათლეტმა კურენცოვმა 435 კილოგრამი დააგროვა და I ადგილი პოლონელ ბაჟანოვსკის დაუთმო — 447,5 კგ. საშუალო წონაში გამარჯვებულად ბელიაევი ცნეს, რომელმაც პოლონელ ოზიმეკთან ერთად ერთნაირი კილოგრამები დააგროვა — 455. ქვემძიმე წონაში 2 საბჭოთა ძალოსანი გამოდიოდა; გაიმარჯვა ტალტსმა — 472,5 კგ. II ადგილი დაიკავა პოლონელმა გოლამბმა — 465 კგ. მეორე საბჭოთა სპორტსმენი გოლოვანოვი 455 კგ-ით III იყო. მძიმე წონაში ბადალი არ ჰყავდა ბატიშჩევს — 510 კგ.

● ბ ე ლ გ რ ა დ ი, 5 სექტემბერი. იუგოსლავიის საერთაშორისო ველორბოლის I ეტაპში სტარტი აიღეს გდრ-ის, იტალიის, პოლონეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, ლუქსემბურგის, ტუნისისა და მასპინძელთა (4) გუნდებმა. ეტაპი მოიგო გდრ-ის ველომრბოლელმა ზ. ჰუსტერმა, რომელმაც 66 კილომეტრზე აჩვენა 1:34.56. გერმანელებმა ყველას აჯობეს გუნდურ ჩათვლაშიც. საბჭოთა ველოსიპედისტებმა V ადგილი დაიკავეს, — გამარჯვებულებთან 2 წუთი და 36 წამი წააგეს.

● **სტოკჰოლმი, 5 სექტემბერი.** ცსკა-ს ჰოკეისტებმა შვეციაში მეორე საერთაშორისო მატჩიც მოიგეს — ამჯერად დაამარცხეს „იფკ ტიმრო“ — 6:3.

● ვ ი ლ ნ ი უ ს ი, 5 სექტემბერი. აქ სამ დღეს მიმდინარეობდა საერთაშორისო შეჯიბრება ცხენოსნობაში. ტურნირში მონაწილეობდნენ ბერლინის „დინამოს“, მოსკოვის „ბურევესტნიკის“, აგრეთვე, ესტონეთისა და ლიტვის მხედრები. დიდი წარმატება ხვდათ წილად გდრ-ის მხედრებს — შეჯიბრების 6 სახეობაში 6 საპრიზო ადგილი! 5-5 ჯილდოს მფლობელები არიან მოსკოველები და ესტონელები.

# ბრძოლა მწვავე იქნება

ზეგ, 8 სექტემბერს, იუგოსლავიის საკურორტო ქალაქ ბლედში დაიწყება მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში. საასპარეზოდ გამზადებული გუნდების უმეტესობა უკვე ჩავიდა შეჯიბრების ადგილზე და პირველი ვარჯიშიც გამართა. ბლედს ეწვია სსრ კავშირის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში არიან: მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის პირველობებში ოთხგზის გამარჯვებული ვ. ივანოვი, რომელიც ერთადგილიანებით შეჯიბრებაში ახლაც პირველობის მთავარ ფავორიტად მიაჩნიათ; ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი — ოლიმპიური ჩემპიონები ო. ტიურინი და ბ. დუბროვსკი; ორადგილიანი გასაშლელი უმესაჭოდ — ა. ფედოროვი და ი. სუსლინი; მესაჭით — ვ. ბრიედისი და ი. მოტეიუნასი; ოთხადგილიანი მესაჭით — ევროპის ჩემპიონი, მოსკოვის „სპარტაკის“ კვარტეტი; უმესაჭო ოთხიანი — ევროპის ჩემპიონი, ლიტვის „ჟალგირისის“ გუნდი და რვაადგილიანი, რომელიც სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბისა და ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ ნიჩბოსნებითაა დაკომპლექტებული.

საბჭოთა ნაკრები ერთობ ძლიერია, მაგრამ ვალში არც მისი მეტოქენი დარჩებიან. მაგალითად, აშშ-ის ნაკრების მწვრთნელებმა ჯ. პარკერმა და კ. მიტჩელმა იუგოსლავიაში გამგზავრებისას წინ ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ ისინი დიდ იმედებს ამყარებენ ვ. ივანოვის მეტოქეზე — დ. სპეროზე, ორივე ორადგილიანზე და, განსაკუთრებით, რვაადგილიანზე, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტისა და მასაჩუსეტსის შტატის ტექნოლოგიის ინსტიტუტის სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. ამ გუნდმა თავისი მაღალი სისწრაფის წყალობით შეცვალა განთქმული „ვესპერის“ რვიანი, რომელმაც გაიმარჯვა ტოკიოს ოლიმპიადაში, ხოლო შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში „ბრიჯაო“ დაისაკუთრა.

ძლიერი კოლექტივი ჰყავს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასაც. ამ ქვეყნის ნიჩბოსნები მსოფლიო ჩემპიონატში პირველად იასპარეზებენ დამოუკიდებელი გუნდით და იმედი აქვთ არ ჩამორჩნენ თავიანთ ქალებს, რომლებმაც ამას წინათ გამართულ ტურნირში სსრ კავშირის ქალთა ნაკრები დაამარცხეს და ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. გდრ-ის ვაჟთა გუნდში 29 სპორტსმენია. ფავორიტებად თვლიან: რომისა და ტოკიოს ოლიმპიადების პრიზიორს ა. ჰილს, აგრეთვე, მესაჭიან ორადგილიანს (გ. ბერგაუ და პ. გორნი) და რვაადგილიანს.

ნიჩბოსნებს ბევრ ქვეყანაში ასეთი ტრადიცია აქვთ: გამარჯვებული ნავის ეკიპაჟს წყალში ამოაყოფინებენ ხოლმე თავს. ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა. ამსტერდამში სტუდენტთა ასპარეზობის ფინიშთან ყველაზე სწრაფად მისულ კოლექტივს ალყა შემოარტყეს. წამიც და, გამარჯვებულნი წყალში ამოჩნდებიან...

ფოტო ასოშიეიტედ პრესის სააგენტოსი.



# ჩემპიონი, დუეტი თუ ტრიუმვირატი?

პროფესიულ კრივს მუდამ არეულად ჰქონდა საქმე, მაგრამ ამჟამად აქ ქაოსმა ყოველგვარ ფარგლებს გადააჭარბა. ურთულესი გამომთვლელი მანქანაც კი დღეს ვერ დაადგენს ერთ პაკმაოდ იოლ საკითხს: ვინ არის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, რა მნიშვნელობის მატჩებს ატარებს მოჰამედ ალი (კასიუს კლეი) და რა პრეტენზიები აქვს მსოფლიო გვირგვინზე ე. ტერელს?

პროფესიული კრივის ერთ ორგანიზაციას თავისი ჩემპიონი ჰყავს, მეორეს კი — თავისი. ყოველი მათგანი პირველობას იჩემებს, კრივის მოყვარულები კი გაკვირვებით შესჩერებიან მათს დავას.

და აი, ამ საერთო „აჯაფსანდალის“ ატმოსფეროში ხელახლა წამოჰყო თავი რინგის დამხობილმა „მეფემ“ სონი ლისტონმა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, რომელმაც ადრე იმდენ მაქინაციაში მიიღო მონაწილეობა, რომ ბოლოსდაბოლოს ბინძურ აბლაბუდაში თავად გაება, რინგზე ოფიციალურად გამოსვლის უფლება წართმეული ჰქონდა. მაგრამ ლისტონმა არეულობას უმალვე აუღო ალღო და ჯერ თავი შეაცოდა პროფესიული რინგის მესვეურთ, მერე შეაჩვია, ახლა კი ჯიუტად მიიწევს უმაღლესი გვირგვინისაკენ.

ლისტონის წინსვლას თითქოს ვერავინ ამჩნევს, ის კი შეხვედრას შეხვედრაზე იგებს და ნელნელა უახლოვდება მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩს, რომლის სანქცია არც ერთ მოჭიშპე მხარეს არ მიუცია. ეგებ ექს-ჩემპიონი პროფესიული კრივის მესამე სინდიკატს აყალიბებს?

ამას წინათ ლისტონმა გეტებორგის რინგზე მე-3 რაუნდის დასაწყისში დაამარცხა ამერიკული წარმოშობის შვეციელი მოკრივე ა. ჯონსონი. ბრძოლის შემდეგ ლისტონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ჩემპიონის ტიტულისთვის გადამწყვეტ ბრძოლამდე მას სულ ცოტა აკლია.

„რა ძალა აღგას სონის რინგზე თავს რომ იღლის, — ხუმრობენ შვეციელი ჟურნალისტები. — გამოაცხადოს თავი ჩემპიონად, მორჩა და გათავდა. აბსოლუტურ ჩემპიონთა დუეტს განა ტრიუმვირატი არ ჯობს?“

# „სიმენტალის“ იმედი

1965-66 წლების სეზონში ევროპის საკლუბო კალათბურთის ლიდერი იტალიის მრავალგზის ჩემპიონი — მილანის „სიმენტალი“ გახლდათ. ამ პოპულარული კლუბის ხელმძღვანელობამ დიდი ხნის ძიების შემდეგ ცნობილი „რეალ-მადრიდის“ მსგავსად შეადგინა ინტერნაციონალური გუნდი, რომელმაც გასულ სეზონში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

„სიმენტალის“ ღირსებას მაშინ მართლაც უმაღლესი კლასის კალათბურთელები იცავდნენ: ვიანელო (სიმაღლე 194 სმ), პიერი (191), მასინი (207), ტორენი (204), რიმინუჩი (187), ლონგი (200), ონგარო (192), ბინდა (185) და ბრედლი (196). გუნდის საშუალო სიმაღლე 193,3 სმ იყო, ხოლო მისი სული და გული გახლდათ ამერიკული კალათბურთის ცნობილი ვარსკვლავი ბრედლი. „სიმენტალი“ გულდამშვიდებით მიაღგა ახალი საერთაშორისო სეზონის კარიბჭეს და აი, უცებ გამოირკვა, რომ აწყობილი მექანიზმი გაიბზარა.

საქმე ის არის, რომ 3 მოწინავე მოთამაშე—მესინი, ლონგი და ონგარო ჯარში გაიწვიეს, ტორენმა კი თავის სამშობლოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაშურა. ეს იყო კრიზისის დასაწყისი, რომელსაც სახელდახელო ოპერაცია ესაჭიროებოდა და „სიმენტალის“ თავკაცებმა იმედის თვალი კვლავ... ამერიკას მიაპყრეს. მაგრამ განებივრებული ოკეანისგაღმელი ვარსკვლავები ევროპაში მხოლოდ „ლამაზი თვალებისთვის“ როდი მოდიან. ერთიანად გაიღო კლუბის სალაროს მძიმე კარი და სულ მალე ანკესს მსხვილი თევზი წამოეგო: „სიმენტალში“ თამაში იკისრა ამერიკის სამოყვარულო კალათბურთის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა კლიდმა.

ვინ არის ეს კლიდი, რომელზეც გუნდი ბრედლის შემდეგ მთავარ იმედს ამყარებს? იგი დაიბადა 1944 წლის 14 მარტს. მისი სიმაღლეა 204 სმ, წონა — 96 კგ. ბოლო სამი სეზონის განმავლობაში ამერიკელი კალათბურთელი 631 ქულის ავტორია. ეს კი იმას ნიშნავს რომ თამაშში მას საშუალოდ 32 ქულა მოაქვს. „სიმენტალსაც“ სწორედ ეს აძლევს ხელს.

# ფეხბურთის მოზაიკა

[illegible]

## „ჩემი ნაკრები ასეთია“

პოპულარულ ინგლისელ ფეხბურთელ ჯ. გრივსს ხშირად სთხოვენ დაასახელოს მსოფლიოს უძლიერესი მოთამაშეები. ბუნებრივია, მას ამ თხოვნით მიმართეს ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შ ე მ დ ე გ ა ც. გრივსმა შეკითხვას მხოლოდ ნაწილობრივად გასცა პასუხი და აი, რატომ.

გრივსი წერს წიგნს ფეხბურთზე. წიგნში მას დასახელებული ჰყავს სხვადასხვა დროის საუკეთესო მოთამაშეები, ან უფრო სწორად ისინი, ვინც მას საუკეთესოებად მიაჩნია. გრივსი მუდამ ხალისით იმეორებს ამ დახასიათებას, რომლის შემოკლებულ ტექსტსაც გთავაზობთ.

„პირადად მე საბჭოთა მეკარე იაშინის თაყვანისმცემელი ვარ. მასთან ჯერ კიდევ 1963 წლის ოქტომბერში ვითამაშე, როცა მე და ჩემი კოლეგები საუკუნის მატჩში შევხვდით მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებს. იაშინის წინააღმდეგ თამაში ისევე სასიამოვნოა, როგორც მის მხარდამხარ.

ერთ-ერთ საუკეთესო მცველად მიმაჩნია ინგლისის ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი ჯიმი არმფილდი. არმფილდს გვერდს დაუმშვენებდა ფეხბურთის დიდი ხელოვანი, ბრაზილიელი ნილტონ სანტოსი.

ნახევარმცველის პოსტზე ერთნაირად შეუდარებელი იქნებოდნენ ბრაზილიელი ზიტოც, ჩეხოსლოვაკიელი მასოპუსტიც და ავსტრიელი ოცვირკიც. ასეთი ნაკრების უდავო კაპიტნად მიმაჩნია ბლენჩფლაუერი, ფეხბურთელი, რომელსაც ამ პოსტზე ვერავინ შეცვლის.

თავდასხმის ხუთეულის ბურჯები, ჩემი აზრით, უნდა იყვნენ გარინჩა, ლოუ და მეტიუზი. დანარჩენები, სახელდობრ კი, პელე, ბობი ჩარლტონი და ჯონსი მათ ღირსეულად დაუმშვენებდნენ გვერდს.

მაგრამ, ვიმეორებ, ეს ჩემი ნაკრებია და ამიტომ მის უეჭველობაზე პრეტენზიას არ ვაცხადებ“.

## გარინჩა ევროპისკენ მიიწევს

ამახლოეს დღეებში გარინჩა „კორინტიანსის“ (სან-პაულუ) შემადგენლობაში ესპანეთს გაემგზავრება და განზრახული აქვს ევროპაში დარჩეს.

„კორინტიანსი“ სან-პაულუს შტატის ჩემპიონატის დაუმარცხებელი ლიდერია. ეს გუნდი სამ სხვა კოლექტივთან ერთად მიიღებს მონაწილეობას რამონ კარანსის პრიზის გათამაშებაში, რომელიც კადისში გაიმართება. ფეხბურთის მოყვარულები მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ აქ პირველად იხილავენ გარინჩას.

რიო-დე-ჟანეიროს გაზეთ „ჟორნალ დოს სპორტსში“ დაიბეჭდა ცნობილი ფეხბურთელის ინტერვიუ. ამ ინტერვიუს წამკითხველისთვის ცხადია: მანუელ დოს სანტოსი (გარინჩა) შიშობს, რომ უხეიროდ დაამთავრებს ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერას. სწორედ ამიტომ სურს მას გადავიდეს რომელიმე ევროპულ კლუბში, რათა, როგორც გაზეთი იუწყება, უქმად არ დაკარგოს ეს „ბოლო წლები ფეხბურთში“, დააგროვოს ფული, რაც მან ვერა და ვერ მოახერხა ბრაზილიაში.

გარინჩა, რომელსაც წლეულს 33 წელი შეუსრულდება, ჩილის მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიელთა ტრიუმფის ნამდვილი გმირი იყო. იგი სამჯერ მონაწილეობდა ოქროს ქალღმერთის გათამაშებაში. მაგრამ, როგორც მისი მეგობრები ამბობენ, მას შემდეგ რაც განხეთქილება მოუვიდა მშობლიურ კ ლ უ ბ თ ა ნ „ბოტაფოგოსთან“, ცნობილი ფეხბურთელი სულით დაეცა და, ფაქტიურად, უსახსროდ დარჩა.

იგი მხოლოდ შარშან „იყიდა“ „კორინტიანსმა“.

## „ქალები — ტრიბუნებზე!“

ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატმა ფეხბურთში ორ ტენდენციას დაუდო სათავე. ერთის მხრივ, იმატა ინტერესმა ფეხბურთისადმი და ბევრს სწორედ ახლა შეეყარა პირველად გულშემატკივრობის „სენი“. მეორე ტენდენციამ კი საგონებელში ჩააგდო საფეხბურთო მატჩების თაოსნები. მას შემდეგ, რაც „დიდი ფეხბურთი“ იხილა, ადვილი შესაძლებელია, მაყურებელმა სრულიად დაკარგოს ინტერესი სხვა, საშუალო დონის მატჩების მიმართ. შიშობენ, რომ ეს ტენდენცია საკმაოდ მომძლავრდება და მის წინააღმდეგ ბრძოლაში... ქალების იმედი აქვთ.

„ფეხბურთი ოჯახურ დასვენებად უნდა იქცეს“, — განაცხადა ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთი ლიგის პრეზიდენტმა. ქ. კოვენტრის გუნდის ხელმძღვანელმა კი უკეთესი წესი შემოიღო — ყოველი შეხვედრის წინ საგანგებოდ ქალებისთვის ახდენს თამაშის მთავარი მომენტების დემონსტრირებას და შესაბამის წესებსაც უხსნის მათ.

ბილეთებზე დაბეჭდილია მოწოდება: „ქალბატონს ძალიან მოეწონა მსოფლიო ჩემპიონატი. მაშ, წამოიყვანეთ იგი სტადიონზე“.

## ინგლისში...

შაბათს ინგლისის ჩემპიონატის მორიგ ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ და შარშანდელი ჩემპიონი „ლივერპული“. მეტოქეებმა მაყურებელს შეუპოვარი, საინტერესო ბრძოლა აჩვენეს. ანგარიში მე-6 წუთზე თავური დარტყმით გახსნა ჰერსტმა. „ლივერპულმა“ საპასუხო გოლი მხოლოდ 90-ე წუთზე გაიტანა — 1:1.

პირველი დამარცხება განიცადა ლონდონის „არსენალმა“. „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ თავდამსხმელებმა ჯონსმა და გრივსმა (2) სამჯერ აიღეს „არსენალის“ კარი — 3:1.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „ასტონ ვილა“ — „მანჩესტერ-სიტი“ 3:0, „ბერნლი“—„ლიდს იუნაიტედი“ 1:1, „ევერტონი“ — „სტოკ-სიტი“ 0:1, „ფულჰემი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 0:1, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ნიუკასლ იუნაიტედი“ 3:2, „ნოტინგემ ფორესტი“ — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ 2:1, „შეფილდ უენსდეი“ — „ლეისტერ-სიტი“ 1:1, „საუთჰემპტონი“ — „ჩელსი“ 0:3, „სანდერლენდი“ — „ბლეკპული“ 4:0.

8 ქულით ლიდერობს „ბერნლი“. (საქ. ინფ.).

## ფავორიტები იმარჯვებენ

შოტლანდიის ლიგის თასის გათამაშების მორიგ შეხვედრაში გლაზგოს „სელტიკმა“ გასვლით მატჩში დაამარცხა „სენტ-მირენი“ — 1:0. თასის მფლობელმა „გლაზგო რეინჯერსმა“ ასეთივე ანგარიშით მოუგო „კილმარნოკს“.

(საქ. ინფ.).

ფეხბურთი

# ხელბურთი ოლიმპიური სახეობაა

ამ დღეებში კოპენჰაგენში გაიმართა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი. გადაწყდა, რომ მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ხელბურთელთა ტურნირში (7×7) გამოვა 16 გუნდი — მსოფლიო პირველობისთვის (შვეცია, 1967 წელი) მებრძოლი 8 საუკეთესო კოლექტივი და საკლასიფიკაციო შეხვედრებში გამარჯვებულნი. გადაწყდა ისიც, რომ 1969 წელს მსოფლიო ჩემპიონატი (11×11) გაიმართოს გფრ-ში, ხოლო 1970 წელს (7×7) — საფრანგეთში.

21-მა ქვეყანამ განაცხადა სურვილი მონაწილეობა მიიღოს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. მათგან 11 პირდაპირ მოხვდა II წრეში, ხოლო დანარჩენები I წრის თამაშებს გამართავენ მიმდინარე წლის 27 ნოემბრამდე. კენჭისყრით, I წრეში ერთმანეთს შეხვდებიან: შვეცია — გფრ, ჰოლანდია — ბელგია, პორტუგალია — საფრანგეთი, ესპანეთი — ნორვეგია, იუგოსლავია — ავსტრია.

კონგრესის მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება, რომ ამიერიდან ქალთა ეროვნული გუნდების შეხვედრების ხანგრძლივობა 10 წუთით გაიზარდოს — თვითეული ტაიმი 25 წუთს გასტანს.

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციაში მიიღეს ახალი წევრები: დაგომეა, მალი და იორდანია.



△ ქაირო. სუეცის არხში გამართული მოცურავეთა მარათონი მოიგო ჰ. მაჰმუდმა (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა). 44 კილომეტრი მან გაცურა 14 საათსა და 20 წუთში.

▲ რომი. წყლის სამოტორო სპორტში 500 კბ სმ-ის ძრავიანი ნავებით შეჯიბრებაში ევროპის ჩემპიონი გახდა დ. კიონიგი (გფრ).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 9 უე 01757